ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №25/ბ

მცხეთა 7 თებერვალი 2018 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, და მეორეს მხრივ ააიპ მცხეთა-მთიანეთის ჭიდაობის რეგიონალური კავშირი, წარმოდგენილი ფედერაციის პრეზიდენტის მევლუდ ჩხაიძის სახით შემდგომში „მომწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2018 წლის 16-18 თებერვალს ქალაქ ყვარელში ჩასატარებელ, სკოლამდელ ასაკთა შორის საქართველოს ჩემპიონატზე ჭიდაობაში სპორცმენთა მონაწილეობის ორგანიზება. (CPV92621000)

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1. მომსახურების მიწოდების ვადაა 2018 წლის 16-18 თებერვალი.

2.2 ხელშეკრულების ღირებულებაა 1090 (ერთი ათას ოთხმოცდაათი) ლარი

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.

3.2 წინასწარი ანგარიშწორების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნილი თანხის (ავანსის) შესაბამისი საბანკო ან სადაზღვევო გარანტია.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 `მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

4.2 „შემსყიდველი˜ კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესრულებული მომსახურების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი მომსახურების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"
ააიპ მცხეთა-მთიანეთის ჭიდაობის
რეგიონალური კავშირი
ს/კ 236095523
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს
ბ/კ **LBRTGE22**
ა/ა **GE80LB0115150325421000**
მის: მცხეთა, აღმაშენებლის ქ. N77

„შემსყიდველი"
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია

ს/კოდი: 236099789
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.№7

ფედერაციის პრეზიდენტის

მ. ჩხაიძე

მუნიციპალიტეტის მერი

გ. კაპანაძე

მცხეთა *07 თებერვალი 2018 წელი*

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის გათვალისწინებულ პირობებს. (ააიპ მცხეთა-მთიანეთის ჭიდაობის რეგიონალური კავშირი *ს/კ* 236095523). *ხელშეკრულება 25/გ).*

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი *გიორგი კაპანაძე*

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა
განყოფილების მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი თამაზ გრძელიშვილი